# გურიის ერობის მოამბე.

№ 23

ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი.

კვირა 18 ივლისი 1920 წელი ქ. ოზურგეთი.


## 18 ივლისი.

აღსრულდა!... ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ქართველი ერის ერთ-ერთი დიადი მიზანთაგანი მიღწეულია... 7 ივლისს არაჩვეულებრივი; საგანგებოთ გამართული ზეიმით მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ბათუმი და იმის ოლქი მისს ბუნებრივ ჰირისუფალს, მისს მშობლიურ მკერდს, დედა სამშობლო-საქართველოს ჩააბარა.

ორ წელზე მეტია, ქართველი დემოკრატია, მთელი ქართველი ერი თავისი საყვარელი ბათუმის დაკარგვას გლოვობდა; გლოვობდა, მაგრამ იმედს არ ჰკარგავდა, რომ ადრე, თუ გვიან, ძალით, თუ მშვიდობიანური გზით თავისი ძველი და ახალი კულტურის აკვანს, თავის განმანახლებელი რევოლიუციური ცეცხლის კერას, -ნაზსა და ტკბილს, საოცნებოსა და სატრფიალოს,—თავის ხელისხელ საგოგმანებელ ობოლ მარგალიტს ბათუმსა და იმის ოლქს დაიბრუნებდა, დაიბრუნებდა და ჩაიკრავდა მშობლიური სიყვარულის ცეცხლით აღგზნებულ მკერდში, მოსწმენდდა ტანჯვის ოფლს, დაუკოცნი და თვალებს და შეუქმნიდა წყნარს, ტკბილს, მშვიდობიან კულტურულ ცხოვრებას. და აჰა, ეს ორი წლის ოცნებაც აგვისრულდა, ბათუმი თავისი ოლქით სამუდამოთ ჩვენთან არის, ოდესღაც სახელოვანი, საქართველოს საამაყო მესხეთი კვლავ თავის დედა სამშობლოს-საქართველოს დაუბრუნდა. რამ დაგვიბრუნა ჩვენ ბათუმი?—ბათუმი დაგვიბრუნა ჩვენ პირველ ყოვლისა ქართველი დემოკრატიის სწორი და უტყუარი გზით მოქმედებამ; ბათუმი დაგვიბრუნა ჩვენ ჩვენი მამაცი მხედრობის—ჯარისა და გვარდიის თავგანწირულმა ბრძოლამ და ძლევამოსილებამ; ბათუმი ჩვენ დაგვიბრუნა ქართველი ერის ძველმა და ახალმა კულტურამ, ქართველი ერის პოლიტიკურმა სიმწიფემ, მისმა გამჭრიახობამ, მისმა ერთსულოვნებამ.

რას მოგვიტანს ბათუმის შემოერთება?—იკითხავს ვინმე—ბათუმი და იმისი ოლქის შემოერთება პირველ ყოვლისა ჩვენ გვიკაფავს გზას ევროპისკენ, ბათუმის შემოერთება გვაძლიერებს სტრატეგიულათ, გვაძლიერებს ეროვნულათ, გვაძლიერებს პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ნაირათ. ბათუმის შემოერთება გააადვილებს ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიულათ აღიარებას, ბათუმის დაბრუნება გვიადვილებს სესხის აღებას, საკუთარი ვალიუტის შექმნას, საშინაო და საგარეო აღებ-მიცემობის განვითარებას, საკუთარი წარმოებისა და მეურნეობის აყვავებას და რავიცით კიდევ რას. მაგრამ ის მოგვიტანს ყოველივე ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართველი დემოკრატია, მთელი ქართველი ერი კვლავ ივლის ერთხელვე მის მიერ არჩეული გზით და ედგომება ერთგულ დარაჯად თავის განთავისუფლებულს, განახლებულს და გაერთიანებულ საამაყო სამშობლოს. და ეს იქნება ასე, ჩვენ გვწამს ეს, ეს სწამს ყველა მოწინავე ქართველს და ამ ტკბილი იმედებით ჩვენ ვულოცავთ საყვარელ სამშობლოს მისი გაერთიანების ბრწყინვალე დღეს.

## საუბარი მკითხველთან.

### დემოკრატიული სახელმწიფო და დემოკრატიის მოვალეობანი.

სახელმწიფო ეს უმაღლესი იძულებითი პოლიტიკური ორგანიზაციაა, დამცველი და მოსამსახურე გაბატონებული კლასისა. და, რადგან საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე გაბატონებულია ესა თუ ის კლასი, ამიტომ საზოგადოებრივი განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე სახელმწიფო ემსახურება სხვა და სხვა კლასის ინტერესებს, ერთი კლასის ხელიდან გადადის მეორე კლასის, ან კლასების ხელში. იმის და მიხედვით, თუ რომელი კლასის ხელში გადადის სახელმწიფო ძა-

ლა-უფლება, იცვლება თვით სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმაც. მაგ., ბატონყმობის ხანაში ჩვენ ვხედავთ ფეოდალურ სახელმწიფოს, ბურჟუაზიულ ხანაში კი კონსტიტუციონურს და სხვა.

თვითეული კლასი თავის ბატონობის ხანაში ბატონია აგრეთვე სახელმწიფოსიც.

უაღრესად დემოკრატიულ სახელმწიფოში კი, როგორიცაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სახელმწიფოს ერთად ერთი ბატონი და პატრონი არის ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხი.

როგორც ზევით ვსთქვით, სახელმწიფო იცავს გაბატონებულ კლასს და ემსახურება მის ინტერესებს. ამნაირად დემოკრატიული რესპუბლიკაც იცავს და ემსახურება თავის გაბატონებულ კლასს, დემოკრატიის ინტერესებს და არც შეუძლია მას არ იცავდეს, არ ემსახურებოდეს თავისი მომავლინებელის კეთილ-დღეობას. დემოკრატიას, ხალხს, ბევრი სხვა და სხვა მოთხოვნილება, ბევრი საჭიროება აწუხებს. მას ესაჭიროება პირველ ყოვლისა მშვიდობიანობა და ის მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რომ მან დაიცვას ქვეყანა შინაური და გარეშე მტრებისაგან. სახელმწიფოც ვალდებულია დააკმაყოფილოს ხალხის ეს უმთავრესი მოთხოვნილება და ამისათვის იძულებულია იყოლიოს ჯარი და მილიცია.

ხალხს ესაჭიროება სწავლა და განათლება, სახელმწიფო ვალდებულია იქონიოს სკოლები: დაბალი, საშუალო და უმაღლესი; იყოლიოს შესაფერი მასწავლებლები და გამოიყვანოს ხალხი სინათლის გზაზე.

ხალხს ესაჭიროება მიმოსვლის საშუალებანი: გზატკეცილები, რკინის გზები და სხვა, გადააქვს და გადმოაქვს სხვა და სხვა საქონელი,—სახელმწიფო ვალდებულია გაიყვანოს ასეთები და სხვა. და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი მოთხოვნილება, რამდენი საჭიროება აქვს ხალხს. ხალხის ყველა ამ და ბევრ სხვა საჭიროებას ვალდებულია აკმაყოფილებდეს მთავრობა. ის უნდა ედგეს სათავეში სახელმწიფო მეურნეობას და ხელმძღვანელობდეს მას. ამისათვის ალჭურვა ის ნდობით თვითონ ხალხმა და ჩააბარა მას სახელმწიფოს სადავეები. გამოდის, რომ უაღრესად დემოკრატიული სახემლწიფოს მთავრობა სინამდვილეში—ეს ხალხის მოჯამაგირე, ხალხის მოურავი ყოფილა, ვალდებული ყოველთვის და ყველაფერში ანგარიში აძლიოს თავის ხაზაინს, თავის ბატონს, ამ შემთხვევაში ხალხს.

სახელმწიფოს გაძღოლა, მისი მოვლა და პატრონობა ძლიერ რთული და მძიმე საქმეა, ამისათვის საჭიროა ბევრი სხვა და სხვა გვარი დამხმარე.

მონარქიულ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოში, ამისათვის მთავრობა ნიშნავს შესაფერ მოხელეებს, უაღრესათ დემოკრატიულ სახელმწიფოში კი, როგორიცაა საქართველოს რესპუბლიკა, ნაწილს თავისი ძალა-უფლებისა მთავრობა უბრუნებს თვითონ ხალხს, მისი ადგილობრივი თვითმართველი ორგანოების: თემების, სამაზრო ერობების და ქალაქის თვითმართველობათა სახით. ამნაირათ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოში თქმაც არ შეიძლება იმისა, სად იწყება სახელმწიფო, სად იწყება ხალხი, ხალხი და სახელმწიფო ორგანიულად გაერთიანებულია და ერთმანეთს შეიცავენ.

როგორც ზევით ვსთქვით, ხალხს აქვს ბევრგვარი მოთხოვნილება, საჭიროება. ამისათვის მას ჰყავს არჩეული ხალხის ნდობით მოსილი მთავრობა, მთავრობა კი ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის მოსამსახურე, ხალხის მოჯამაგირეა ახლა წარმოვიდგინოთ ისეთი მოჯამაგირე, რომელსაც ხაზაინმა უბრძანა ყანები მოეხნა, დაეთესა დაეფარცხა, გაეთოხა, მოემკა და ნალია სიმინდით გაევსო, მაგრამ არსად იყო საყანე, სადაც ეს მუშაობა უნდა წარმოებულიყო, არსად იყო გუთანი, სახნისი, სათესლე და სხვა და ხაზაინი კი მაინც მოჯამაგირეს ამტყუნებდა, რომ ის თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. შესაძლებელია თუ არა მოჯამაგირეს მხრით ასეთ ხაზაინთან სამსახური და შეუძლია თუ არა, რომ მან ხაზაინს რაიმე ნაყოფი მოუტანოს?—რასაკვირველია არა და ამაში დამნაშავე იქნება არა მოჯამაგირე, არამედ ხაზაინი. ასევე შეგვიძლია ვსთქვათ დემოკრატიული სახელმწიფოსა და ხალხის შესახებაც, უკეთუ მას ხალხი საშვალებას არ აღმოუჩენს. მთავრობა ვალდებულია ხალხს ემსახუროს: დაიცვას მშვიდობიანობა, დააარსოს სკოლები, გაიყვანოს გზები, მოაწყოს საავათმყოფოები, ააყვავოს მეურნეობა და სხვა, მაგრამ ყველა ამისათვის საჭიროა საშვალება, ფული, ხოლო ფული კი მთავრობას ზეციდან არ ჩამოუცივა, ის უნდა მისცეს მას თვითონ ხალხმა.—ფულის მეტი მთავრობას რა აქვს! სჭრას და სჭრას რამდენიც მოესურვებათ—იტყვის ზოგიერთი უვიცი.—ფული თუ მქონოდა და სიკეთე, არც ახალი მთავრობა დამჭირდებოდა, ნამდვილი მთავრობა იგია, ვინც უფულოთ მომცემს ყველაფერსო—დაუმატებს მეორე უვიცი. და თუ ასეთი უვიცები ხალხში ბლომათ არის, მაშინ უნდა ვიკითხოთ, თუ რა უბედურია დემოკრატიული მთავრობა. ის წააგავს მაშინ სწორედ იმ მოჯამაგირეს, რომელსაც უბრძანეს ყანები მოეხნა, მოეთესა და სხვა, მაგრამ არც საყანე მიწა უჩვენეს, არც ხარი და სახნისი ჩააბარეს და სხვა; ხაზაინი კი

მაინც უსაყვედურებდა, რომ მან თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. მაგრამ მოჯამაგირის მოვალეობაზე ასეთი მთავრობის მოვალეობა უარესია კიდევ იმითი, რომ მოჯამაგირეს შეუძლია ასეთ ხაზაინს ზურგი აჩვენოს, მოშორდეს, ხოლო დემოკრატიული მთავრობას კი არა, ის თავისი ხაზაინის ღვიძლი შვილია: ხალხის ტ ა ნ ჯ ვ ა — იმისი ტანჯვაა, ხალხის მზე იმისი მზე, ის მსახურობს ხალხის ბედნიერებისთვის — ის საზოგადო მოღვაწეა და იტანჯება ხალხისავე ტანჯვით. მთავრობას ესმის თავისი მოვალეობა, ცდილობს ემსახუროს ხალხს, ეძებს საშუალებებს, აწესებს გადასახადებს, მაგრამ თუ ხალხი შეუგნებელია, მას ჰგონია, რომ ყველაფერი მის დაუხმარებლათ უნდა შენდებოდეს, კეთდებოდეს, მას არ ესმის თავისი მოვალეობა, თავისი ინტერესები და რა გასაკვირი იქნება, რომ ასეთს სახელმწიფოში საქმე რიგზე ვერ წავიდეს. როგორია ხალხის მოვალეობა დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე? ამაზე შემდეგ.

((გაგრძელება იქნება)

მ—რი.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— დამტკიცდეს ერკეთის თემის გამგეობის მიმდინარე 1920 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა რომლის ბალანს შეადგენს 165130 მან.

— აღმოეჩინოს დახმარება ყარამან ჰანუყვაძეს ხუთასი (500) მან. მიცემით.

— აღმოეჩინოს დახმარება სამსახურის ნიადაგზე გარდაცვლილ მილიციონერ გრ. ქარცივაძის დედას ვარდო ქარცივაძისას ათასი (1000) მანეთის მიცემით და აგრეთვე აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— თანახმად ერო-კავშირის დადგენილებისა, მიეცეს განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 10% იმ თანხისა, რომელიც ერგება ოზურგეთის ერობას სესხის სახით მთავრობიდან ას მილიონიან ფონდიდან, გადარიცხულ იქნას ერო-კავშირის კომიტეტის განკარგულებაში სპეციალურათ საერობო ბანკის დასაარსებელ თანხის ანგარიშში.

— უარი ეთქვას სუფსის თემის გამგეობას სიმინდის შესაძენათ 500.000 მან. სესხათ მიცემაზე უსახსრობის გამო, ხოლო მიღებულ იქნას ზომები სუფსის თემისათვის შეღავათიან ფასებში სიმინდის მისაწოდებლათ.

— თანახმად ოზურგეთის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობისა, გადიდებულ იქნას ქალაქის ავტომობილით ოზურგეთ-ნატანებ შუა მიმოსვლის ფასი ოცი მანეთით (20) მგზავრზე 1 ივნისიდან ა წ., ე. ი. დაწესდეს თითო მგზავრობაზე ას ორმოცდა ათი (150) მან. ნაცვლად ას ოცდა ათი (130) მანეთისა.

— მოქ. სოლომონ გიორგის-ძე სიხარულიძეს ეძლიოს ჩოხატაურში მილიციის საჭიროებისათვის თავლათ დაქირავებულ მისი სახლის ქირათ თვეში ას ორმოცდა ათი (150) მანეთი, თანახმად ჩოხატაურის თემის გამგეობის შეფასებისა, დეკემბრიდან გასული 1919 წლისა.

— უარი ეთქვას ნინო ჩხაიძეს სამიჯნაო განყოფილებისთვის დაქირავებულ მისი შენობის ქირის გადიდებაზე.

— ს. სილაურის მცხოვრებთა შუამდგომლობა მათი ჯუმათის თემში ხვედრი სასკოლო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ უარყოფილ იქნას, რადგან ჯუმათის თემის საბჭოს მიერ შედგენილ და ერობის გამგეობისაგან დამტკიცებულ ამ თემის 1920 წ. ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი ხარჯების ხვედრი ნაწილი ისევე სავალდებულოა ჯუმათის თემის ს. სილაურის მცხოვრებთათვის, როგორც ამ თემის სხვა რომელიმე სოფლისათვის.

— მიეცეს ხიდისთავის უმაღ. დაწყ. სასწავ. გამგეს ბ. მეგრელიძეს ოთხასი (400) მ. გასულ 1919 წ. აგვისტოში მასწ. რამიშვილის მაგივრათ ერთი თვით მოწვეულ მასწ. მ. შემელიძის დასაკმაყოფილებლათ.

— გადაიდოს განათლების განყ. გამგის განკარგულებაში ათასი (1000) მან. იმ პირთა დასაკმაყოფილებლათ, რომლებმაც იმუშავეს უმაღლეს დაწყ. სასწავლებლის 1920—21 სამოსწავლო წლის „სმეტის“ შედგენაზე.

— უარი ეთქვას მასწ. მისონ რამიშვილს ერთი თვით თავისუფლების მიცემაზე, ვინაიდან სამოსწავლო წელი უკვე თავდება.

— აღიძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რათა ექსკურსანტ მოსწავლეებისთვის დაეთმოს ერობას საჭირო ვაგონები.

— დათხოვნილი იქნენ სამსახურიდან, თანახმად გამგეობის წინა დადგენილებისა, შემდეგი ჯარის ფერშლები: ილ. ლლონტი, ლ. ჭეფხოძე, ონ. კალანდაძე, ვ. მახარაძე და ირ. ცინცაძე.

— მოიხსნას დღის წესრიგიდან საკითხი ბახვსა და დვაბზურს შორის ვაკისჯვრის მხრით საზღვრის ადგილობრივათ ხელახლა გამორკვევის შესახებ, ვინაიდან ის გადაწყვეტილ იქნა საერობო კრილობის მიერ და გამგეობას არ შეუძლია ხელ ახლა იმსჯელოს მაზე.

— მოხსენება ქარხნის დამდგმელის ბ-ნ გოგეშვილისა მუშაობის მიმდინარეობის შესახებ მიღებული

იქნას ცნობათ.

— ამ თავათ დაიდგას ქარხნის შემდეგი ნაწილები: საკვამლე, ტრანსმისია, სამი მრგვალი ხერხი და სხვა მისთვის საჭირო ნაწილები.

— მოეწყოს აგრეთვე შემდეგ გატერებიც, რომლის დადგმაც დაევალოს ბ-ნ ბეს. გოგეშვილს განსაკუთრებულ ფასათ.

— აღმოეჩინოს ფინანსიური დახმარება ბახვის სკოლას მასთან არსებული ბაღის საჭიროებისათვის; დახმარების მიცემის წესისა და რაოდენობის შესახებ მოსაზრების წარმოდგენა დაევალოს სასკოლო განყოფილებას.

— უარი ეთქვას არსებულ წყობილების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ტყვეობაში ყოფილ მასწავლებლებს: ვლ. თავართქილაძეს, ილ. კალანდაძეს და დ. ფოცხიშვილს ტყვეობაში ყოფნის დროს ხვედრი ჯამაგირის მიცემაზე.

საკითხი პირველი ორის, ე. ი. თავართქილაძისა და კალანდაძის სამსახურში დაბრუნების შესახებ დარჩეს ღიათ; დ. ფოცხიშვილი კი დაბრუნებული იქნას თავის ადგილზე დღიდან სამსახურში გამოცხადებისა.

— ერობის თანხიდან მიეცეს ნინო გურიელისას 1419 მან. 74 კაპ., რომელიც მას მიუღებელი აქვს მთავრობიდან ყოფილ სამაზრო კომისარიატისა და სამხედრო საკრებულოსთვის დაჭერილ მისი ორი სახლის ქირათ, თანახმად მასთან დადებულ ხელშეკრულებისა, სანამ ერობა დაიჭერდა ამ სახლებს.

— მოქ. მ. ფირცხალაიშვილს მიეცეს სესხათ თხუთმეტი (15) ფუთი ბენზინი ვადით არა უგვიანეს ერთი თვისა იმ პირობით, რომ თუ ამ ვადაში სამაგიერო ბენზინი ვერ მოგვცა, უნდა გადაიხადოს ბენზინის ფასი ფულათ მაშინდელი ბაზრის ფასების მიხედვით.

— მიეცეს მილიციასა და საგანგებო რაზმს ორასი (200) ფ. სიმინდი ფ. 370 მან. განაწილება დაევალოს სავაჭრ. სამრეწვ. განყოფილებას.

— მიეცეს ლანჩხუთის სამეურნეო სკოლას სათესლეთ 15 ფ. სიმინდი (თხუთმეტი ფუთი).

— 7 ივნისიდან მარილი გაიყიდოს ფუთი ორას ორმოცდა ათ (250) მანეთად.

— წინადადება მიეცეს სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებას, რომ მან ხუთი (5) დღით ადრე მოითხოვოს საფინანსო განყოფილებიდან თავისი ოპერაციებისათვის საჭირო თანხა ამ ოპერაციებიდან შემოსულ თანხის რაოდენობის ფარგლებში.

— დაევალოს გამგ. წევრს კ. ქავთარაძეს წარმოადგინოს გამგეობის ანგარიშები მდ. რიონის ნაპირების გამაგრებაზე გაწეულ ყოველგვარ ხარჯებისა.

— მოისმინა რა მოხსენება საგამომძიებლო კომისიისა ჩოხატაურის საერობო გიმნაზიაში ა. წ. მარტის უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ მოწაფეთა გაფიცვის შესახებ, ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა სცნობს, რომ გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ი. ცინცაძე და პედაგოგიური საბჭო ვერ იდგენ ამ საქმეში თავიანთ დანიშნულებათა სიმაღლეზე, გარდა ამისა დირექტორმა არ გამოიჩინა ადმინისტრატიული წინდახედულება, რაც აუცილებელია სასწავლებლისთვის, რის გამოც ერობის გამგეობა გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას.

— იოსებ მექვაბიშვილს მიეცეს 1200 მან. იმ ხარჯების დასაფარავათ, რაც მან გასწია ქუთაისში მგზავრობის დროს არა მისი პირდაპირი მოვალეობის გამო გამგეობის დავალებით.

## თემთა დადგენილებიდან.

### ჰანჰეთის თემი.

— არჩეულ იქნენ: 1, საფინანსო კომისიის წევრებათ ღია კენჭის ყრის საშუალებით კოწია მახარაძე, ივანე წითლიძე და გიორგი ვადაჭკორია; 2, სარევიზიო კომისიაში—ილარიონ ჯაში, დათა დუმბაძე და ვლადიმერ წულაძე.

— ფოსტის მოწყობა დაევალა გრიგოლ მახარაძეს, თეოფილე ხუნაიშვილს და ზაქარია წულაძეს.

— არჩეულ იქნა ნიგოითის საფონდო ხაყანე მიწების გამნაწილებელ კომისიაში კოწია გიორ. მახარაძე.

— დაევალა თემის გამგეობას აღსძრას სადაც ჯერ არს დასაბუთებული შუამდგომლობა თეოფილე სარიშვილის, საშა და ილია ვლადიმერის-ძე მეგრელაძეების და მართა კომახიძის საქმეზე.

— სამსონ და ლადიკო მახარაძეების საქმის სინამდვილე ეცნობოს ერობის გამგეობას შემდეგი მსვლელობისათვის.

— არჩეულ იქნა აკეთის სარაიონო სააგრარიო კომისრის წევრათ პავლე ვადაჭკორია.

— დაევალა თემის გამგეობას აღძრას საკითხი აკეთის თემის საბჭოს სხდომაზე ამ ორ თემებთა საზიარო ქონების გაყოფის შესახებ და აკეთის თემის პასუხი ამ საგანზე ეცნობოს ოფიციალურათ ჰანჰეთის თემის სამგეობას.

— არჩეულ იქნენ საგზო კომისიაში სილოვან გაბუნია, არჩილ ხუნაიშვილი და ფოკა გაბრიელის-ძე გოგუაძე.

## საექიმო განყოფილებიდან.

ჯანმრთელობის დაკარგვა
ადვილია, შოვნა კი ძნელი.

ერობის მთავარი საზრუნავი საქმე არის სახალხო ჯანმრთელობის დაცვა და საექიმო საქმის რიგიანად მოწყობა. ჩვენი ერობა დიდ ხარჯებს იღებს საექიმო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ. ის ცდილობს უზრუნველჰყოს მაზრის მცხოვრებთა ინტერესები საექიმო დახმარებით. მთელს გურიაში შემოღებულია უფასო საექიმო დახმარება. ეს საშუალებას აძლევს ავათმყოფს მიმართოს დახმარებისათვის ერობის ექიმს და არა სოფლის „აქიმებს“ დ კერძო ფერშლებს. ამ უკანასკნელთ არა აქვთ არავითარი ცოდნა საექიმო დარგში და თავისი წამლობით ბევრს ასალმებენ წუთისოფელს, ან გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. სოფლის „აქიმები“ ყველგან არის, მარა ისინი ბევრია გურიაში; აქ ყველა აქიმობს: დალაქი, მეჯინიბე, უბრალო მცხოვრები და სხ. ესენი უმზადებენ ავათმყოფს წამლებს და მათი გაკეთებული წამლით რომ ავათმყოფი იწამლება, ამისათვის კარგ ფულსაც იღებენ. ერობის გამგეობას ყავს სამსახურში გამოცდილი და კეთილსინდისიერი ექიმები. ერობას არა ერთხელ უცნობებია ხალხისათვის განცხადებით, რომ აქიმობა უფასოა და ავათმყოფმა უნდა მიმართოს ერობის ექიმს, მაგრამ ხალხს ასე აქვს ჩაგონებული, რაც მას უსასყიდლოთ ეძლევა, ის უსათუოდ უვარგისია და ამიტომ ავათმყოფი მიდის სოფლის „აქიმებთან“ და კერძო ფერშლებთან. ერობის ფერშალი მუშაობს ერობის ექიმის და საექიმო განყოფილების კონტროლის ქვეშ, კერძო ფერშალი სწამლობს ავათმყოფს, როგორც მას მოესურვება: აძლევს თავისივე ხელით შემზადებულ უვარგის წამალს და ამით სამუდამოთ არყევს ავათმყოფის ჯანმრთელობას. მიუხედავათ იმისა რომ ფერშლებს არა აქვთ ელემენტარული ცოდნაც კი აქიმობის საქმეში, ისინი მაინც ბინძური ხელით და დანით აკეთებენ ისეთ ოპერაციას, რომლის უფლება მათ არა აქვთ. ამ პირების „მოღვაწეობა“ მეტად დაფარული რჩება: მკვდარი ვერ იჩივლებს და ჭირისუფალს არ სურს ასტეხოს ხმაურობა, ისინიც (ჭირისუფალი) სიკვდილს ხსნიან არა დაუშვებელი აქიმობის შედეგათ, არამედ აუცილებელ მოვლენათ. ამიტომ არის რომ ეს „აქიმები“ დაუსჯელად განაგრძობენ მათ ბნელ მოღვაწეობას. ერობის გამგეობის და საექიმო განყოფილების გამგეს ძალიან აწუხებს კერძო ფერშლების და სოფლის „აქიმების“ მოღვაწეობა, ამიტომ ისინი სთხოვენ საზოგადოებას დაეხმარონ მათ ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოვიყვან სოფლის კერძო ფერშლის უვიცობის დამამტკიცებელ მაგალითებს, რომლის შესახებ საბუთები ინახება საექიმო განყოფილებაში — ერთი ლანჩხუთელი ცნობილი ფერშალი მიიწვიეს ტვინის ანთებიან ავათმყოფთან. ფერშალმა ჭირისუფალი დაარწმუნა, რომ ორ საათში ფეხზე დავაყენებ უნდომსო. ჩაასხა ავათმყოფს ცხვირში ნიშადურის სპირტი, დაუწყო ხელოვნური სუნთქვით გრძნობაზე მოყვანა და სხ. ასეთი „აქიმობით“ ავათმყოფი იქვე გარდაიცვალა. იგივე ფერშალი აკეთებს ოპერაციებს და მისი ოპერაციით ავათმყოფი კვდება.

ერობამ მოაწყო ოზურგეთში ცენტრალური საავათმყოფო, სადაც მსახურებენ გამოცდილი სპეციალისტები: დონის უნივერსიტეტის პროფესორი ქირურგი კეჩეკი, საბებიო და გინეკოლოგიურ სნეულებათა სპეციალისტი ვოლოშინა, ბაქტერიოლოგი ჟუკოვსკაია და სხვები ავათმყოფს შეუძლია მიიღოს ყოველგვარი საექიმო დახმარება, გაუკეთდეს რთული ოპერაცია მცირე ფასის გადახდით. ამას გარდა მაზრაში მოწყობილია თორმეტი საექიმო უბანი და აფთიაქები, საიდანაც მცხოვრებთ ეძლევათ კარგი ღირსების წამლები ხელმისაწვდენ ფასებში. ერობის ყველა ამ საქმიანობას მიზნათ აქვს დასახული ერთის მხრით სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, მეორეთ — მარჩიელების და სოფლის ფერშლების აქიმობისაგან ხალხის გადარჩევა, მაგრამ ერობის ღონის ძიება უნაყოფოთ ჩაივლის იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხი შეგნებულათ არ უარყოფს სოფლის „აქიმ“-ფერშლების მკურნალობას. ამიტომ გთხოვთ ნდობით მიეპყრათ ერობის ექიმების უფასო აქიმობას, შეითვისოთ ის და ზურგი აქციოთ სოფლის გაიძვერა „აქიმებს.“ თუ ისინი კიდევ განაგრძობენ ხალხში „აქიმობას“, გვაცნობეთ მათი ვინაობა და მოგვეცით საშუალება რომ მოგაშოროთ მათი ბოროტი ხელი.

ექიმი ს. აბაშიძე.

## განათლების განყოფილებიდან

1920 წლის 28 აპრილს მოხდა ნიგოითის და შუხუთის რაიონის მასწავლებელთა კავშირების კრება, რომელიც მოწვეული იყო ოზურგეთის მაზრის სასწავლებელთა ინსტრუქტორის გ. გაბრიელ გოგუაძის მიერ. კრება გაიხსნა დილის 11 საათზე. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა იოსებ მებუკე, მდივნად ერმილე კეჭალმაძე. გასარჩევი იყო კითხვები:

1, წერითი ვარჯიშობის გადათვალიერება და გამოტანა სავალდებულო დადგენილებისა წერითი თემების სკოლებში შემოსაღებათ; 2, ქართული ენა

...ს დაყენება სკოლაში; 3. მათემატიკა და მისი ლაბორატორიული მეთოდი; 4, ბუნების მეტყველება თავისი ბიოლოგიური მეთოდით; 5, გეოგრაფია და რუქა აღწერილობითი; 6, საქართველოს ისტორია.

პირველი კითხვის გარჩევამდე გადათვალიერებულ იქნა ყველა ამ რაიონში არსებულ სკოლების I, II, III და IV გან. რვეულები და აგრეთვე ნიგოითის უმაღ. პირ. დაწყ. სასწავლებლის I, II, III და IV კლასების რვეულებიც. ჭყონაგვარის სასწავლებელს I და IV გან. რვეულები არ წარმოუდგენია. რვეულების გადათვალიერების შემდეგ კრებამ ითათბირა აწინდელ წერითი ვარჯიშობის შესახებ სკოლებში და სავალდებულოთ დაადგინა: ა) I განყოფილებაში ხატვა უნდა იქნას შემოღებული უხაზო რვეულში იმ დროს, როდესაც მოწაფეები გადიან ზეპირ ლექსიკურ განყოფილებას; ბ) ანბანის შესწავლის დროს მასწავლებელმა ფართე ალაგი უნდა მისცეს მოწაფეთა თვითმოქმედებას; გ) I განყოფილებაში მოწაფეებმა აუცილებლათ უნდა შეითვისონ კალიგრაფიული წესები, ისე რომ შემდეგ განყოფილებაში მოწაფეებს არ დასჭირდეთ კალიგრაფიის შესწავლა; დ) წერა უნდა იყოს აუცილებლათ სწორი; ეს რვეულები ანბნების შესწავლის დ რ ო ს უნდა იყოს პირველად კუთხიანი, შემდეგ ორხაზიანი და მერმეთ კი ცალხაზიანი; ვ) რვეულებში თავიდგან ანბანის წერა უნდა სწარმოებდეს აუცილებლად მელნით; ც) სანამ მელნით ანბნების წერას შეუდგებოდენ, რვეულში წინასწარ მელნით უნდა დახატონ მოწაფეებმა რამოდენიმე საგანი.

1, რაც შეეხება წერითი სავარჯიშო მასალას, პირველად უნდა იწერებოდეს ასოები, შემდეგ ეს ასოები იხმარებოდეს სიტყვებში, მხოლოთ მრავალ ჯერ არ უნდა იქნას განმეორებული; 2) ერთი და იგივე ასო უნდა იქნას დაწერილი სხვა და სხვა სიტყვებში; 3) სიტყვები უნდა დასახელდეს მოწაფეების მიერ და არა წიგნიდან ამოღებული; ვერიდოთ უნდა გაუგებარ სიტყვებს; 4) რამდენადაც შესაძლებელი იქნება 5—6 ასოს შესწავლის შემდეგ ვავარჯიშოთ მოწაფეები ნაცნობ სიტყვებით წინადადებების წერაში; 5) წერა ვაწარმოვოთ ყოველ დღე 10—15 წამს; 6) კვირაში ერთხელ წერითი ვარჯიშობის ნახევარი გაკვეთილი დაუთმოთ სუფთა წერას იმავე რვეულში, რათა მოწაფეებს შევათვისებინოთ კალიგრაფიული წესები; 7) გადმოწერა იქნას უკუგდებული; გადმოწერა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მოწაფეები გადმოწერასთან ერთად აღნიშნავენ სულიერს, ან უსულო საგნებს, არსებითი სახელებს და სხვა, ვინაიდან ასეთი წესი გადმოწერისა აღვიძებს ბავშვებში თვითმოქმედებას. ამ გვარ შემთხვევაში გადმოწერა უნდა ხდებოდეს საკლასო დაფიდგან და არა წიგნიდან; 8) კარნახი და ზეპირი წერა განდევნილი უნდა იქნას, მხოლოთ დასაშვებია წერის ასეთი წესი ძლიერ იშვიათად და ისიც გამოცდის მიზნით; 9) ლექსის შინაარსის გადმოცემა რჩება სკოლაში, მხოლოთ ფართე ალაგი არ მიეცემა; ლექსის შინაარსის გადმოღება უნდა მოხდეს განსაზღვრულ წინადადებებით, რომელსაც მასწავლებელი განუსაზღვრავს მოწაფეებს, ასეთი წესი დასაშვებია იშვიათად, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოწაფეები გამოიჩენენ თვითმოქმედებას ამ მუშაობაში. ლირიკული ნაწარმოების გადმოღება დაუშვებელია; 10) კითხვა-პასუხი სკოლაში დასაშვებია, ვინაიდგან მოწაფეებს ასეთი მუშაობა უნვითარებს აზროვნებას; 11) უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ თავისუფალ ხასიათის თემას, რომელიც უნდა ამოვიღოთ თვით მოწაფეთა ცხოვრებიდან; 12) შეცდომიანი სიტყვის გასწორება უნდა ხდებოდეს იმავე წინადადების დაწერით, მხოლოთ ერთხელ. ჯერ მოწაფე მასწავლებლის დახმარებით სწერს სიტყვას დაფაზე, შემდეგ კი გადააქვს რვეულში. წითელი მელნით შეცდომის გასწორება შეუძლებელი და დაუშვებელია, ვინაიდან ასეთი წესი გასწორებისა უფრო აღრმავებს მოწაფის გონებაში შეცდომიან სიტყვას, რომლიდან გადაჩვევა შემდეგ ძნელია; მასწავლებელი ინიშნავს შეცდომიან სიტყვას და შემდეგ მასწავლებლის დახმარებით მოწაფეები ასწორებენ შეცდომას ჯერ საკლასო დაფაზე დაწერით და შემდეგ რვეულში ჩაწერით.

(შემდეგი იქნება)

## მეზობელ ერობათა ცხოვრებიდან.

სენაკის სამაზრო ერობა *).

საქართველოს ნორჩ რესპუბლიკაში სენაკის ერობა ყველაზე უხუცესია, ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების პირმშოა. მომავალ ენკენისთვეში მას ორი წელიწადი შეუსრულდება. ჩვენ არ გვქონდა საერობო მოღვაწეობა—მოქმედების პრაქტიკა, საამისოთ მომზადილი მოღვაწენიც არ გვყავდა, მაშასადამე, ორი წელიწადი ეს ისეთი მცირე დროა,

*) მკითხველებისათვის ზედმეტი არ იქნება იცოდეს მეზობელ ერობის ცხოვრება. ამიტომ ამ №-იდან ჩვენ ვიწყებთ სენაკის ერობის მოღვაწეობიდან. იმედია, მსგავს წერილებს სხვა ერობიდანაც მოგვაწვდიან. რედაქტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერობაში მოღვაწე პირები საქმის გაცნობას, სამოქმედო გეგმის შედგენას თუ მოასწრებდენ, ისიც კარგია; მაგრამ, მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებისა და დღევანდელი გართულებული დროისა, სენაკის ერობამ სიდუხჭირეს სძლია და ბევრი რამ გააკეთა. ყველაზე მეტი კი ის გააკეთა, რომ მან ხალხში მოიპოვა ნდობა და პატივისცემა. მეგრელმა უკვე კარგად იცის, რომ მისი მახლობელი ქომისუფალი არის ერობა და ამ დაწესებულებას ის ღირსად პატივს სცემს, ერობის განკარგულებას ემორჩილება და ასრულებს. ამ რიგად სენაკის ერობამ თავის მუყაითობით, საქმიანობით, დადებითი მუშაობით მოიპოვა პრესტიჟი. რომ არავის ეგონოს ვისიმე დაუმსახურებელი ხოტბა, ამიტომ ჩვენ ავალაპარაკებთ თვით ფაქტებს.

ერობის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო გზებისა და ხიდეების გაკეთება—შეკეთებაზე და ამ მხრივ სხვა ერობამ მისგან უნდა გადაიღოს მაგალითი. გზა ხომ კულტურისა და ვაჭრობა მრეწველობის უმთავრესი ძარღვია, უგზოთ ყოველგვარი მოღვაწეობა ამაოა. ამ მცირე ხნის განმავლობაში სენაკის ერობამ შესძლო და უკვე მოასრულა ბიტონ დუღაბის (ცემენტის) შვიდი ხიდი, აგებს ორს და ამავე დროს გამალებით სწარმოებს მუშაობა მდ. ტეხურზე გაკიდული ხიდის ასაგებათ. რაც იშვიათი მკვიდრი და ლამაზი იქნება; 8 ვერსის მანძილზე, მიუვალ კლდე-ღრეში, ციცაბო ადგილას, (როგორც სურებია) გაიყვანა გზა-ტკეცილი (ცნობილი „მუკო-ტეხილი“) და მით დიდი მოზრდილი კუთხე დაუკავშირა ცენტრს. ამ გზის გაყვანამ სწორეთ რომ მოხიბლა ხალხი და მოუპოვა ერობას პატივისცემა. ამავე ერობამ ზუგდიდის ერობასთან შეთანხმებით დაასრულებინა მთავრობას რკინის გზა ახ. სენაკიდან ხეთამდე (21 ვერსია). ერობამ შარშან ენკენისთვიდან გახსნა საოსტატო სემინარია, სადაც მეგრელ ქალ-ვაჟებს გარდა 4 გურულიც კი სწავლობს, გახსნა ძველ-სენაკსა და თამაკონში სამეურნეო სასწავლებელი, დაბალი ტიპის, პრაქტიკული, თითეულ სკოლას მიუზომა 50 დესეტინამდე მიწა, შეიძინა და მოაწყო ევროპიული საფუტკრე, საფუტკრეებთან გამართულია სახელოსნო სადურგლო და მსურველს ასწავლიან ჩარჩოიანი სკების (ბუკების) გაკეთებას და ამავე დროს ამზადებენ გასაყიდსაც. ახალ სენაკში მოაწყო სამჭედლო და სადურგლო. სამჭედლოში აკეთებენ სამეურნეო იარაღებს და დიდი შეღავათიანი პირობებით აძლევენ მსურველთ, სადურგლოში მზადდება სკოლებისათვის პარტები და სხვა. აქვე აქვს ერობას თავისი ბოსტანი. სხვა და სხვა ადგილას აქვს მოწყობილი სადედე მინდვრები გამოცდილ აგრონომის ხელმძღვანელობით, ერობამ გამოიწერა სხვა და სხვა ნერგები და თესლები და მით მცხოვრებლებს გაუადვილა მათი შეძენა. ერობა ამ დღეებში გამოუშვებს თავის ქარხნიდან აგურს და, [illegible] აგრეთვე დაასრულებს დუღაბის (ცემენტის) ქარხანას. ერობამ გახსნა ორ ადგილას საფეიქრო სკოლა.

წელს და შარშან ერობას ყავდა თფილისიდან მოყვანილი სხვა და სხვა ჯიშის ვაყები და მით შესძლო ცხენების ადგილობრივი ჯიშის გაუმჯობესება. ერობის საწყობში მუდამ მოიპოვება სამეურნეო იარაღი—მანქანები და მეურნეობაში სახმარი წამლები, ერობა მუდამ იწერს თივას, სიმინდს და სხვა სურსათ-სანოვაგეს და მით სპეკულიანტებს მადას უკვეცს. იმ დროს, როცა ერობა, მაგ., თივის ფუთს 36—40 მან. ყიდის, კერძოთ კი 100—150 მან. იყიდება. ერობის განათლების განყოფილებამ შეკრიბა მთელი მაზრის სასკოლო ასაკის ქალ-ვაჟთა სტატისტიკური ცნობა, შეადგინა სასწავლებლების სამოსწავლო ბადე, ბევრ ადგილას გახსნა ახალი სკოლები და ბევრი კი გადააკეთა.

ერობამ თავის შესაფერ სიმაღლეზე დააყენა სამაზრო მილიცია, რის მეოხებითაც ძლიერ ბევრი ქურდები და ავაზაკები დაიჭირეს და ქურდობაც იშვიათი მოვლენა ხდება (და თუ მოხდა, თვით ქურდებს აგებინებენ პასუხს). ერობის აღმშენებლობითი მუშაობა მთავრობამ დააფასა და ისიც ხელს უწყობს განზრახული გეგმის შესრულებაში. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის, რომ სენაკის ერობის მიერ აღძრული შუამდგომლობა სხვა და სხვა პირებისაგან ერობის საჭიროებისათვის შენობებისა და მიწის იძულებით ჩამორთმევაზე (უკვე შეფასებულ სასყიდელში) მთავრობამ დაამტკიცა. ამის მეოხებით დღეს სენაკის ერობას საშუალება აქვს საკუთარ შენობაში მოათავსოს სამაზრო მილიცია, აფთიაქი, საავათმყოფო, სამასწავლებლო სემინარია, ააგოს აბანო, აღებინოს თვალსაჩინო ადგილას 15 დუქანი და იმავე ადგილას ააგოს სახალხო სახლი და სხვა. გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს სტამბა და გახსნას წიგნის მაღაზია. აღსანიშნავია, რომ გამგეობის წევრები (14 კაცი), სხვა და სხვა პარტიის კაცები, ერთი მეორეს არ ეკინკლავებიან, არამედ სრული თანხმობით და საქმის საერთო სიყვარულით ეწევიან მძიმე ჰაპანს. ყოველივე ამის მეოხებით, ვიმეორებთ, ფართო მასსა, გარდა ალვირ-წახსნილ სპეკულიანტებისა, ერობით მადლიერია; სპეკულიანტ-ჩარჩები და მსხვილი მესაკუთრენი, თუ ესაყვედურებიან, ეს ერობის პლიუსია და არა მინუსი.

ერობის ასეთ გავლენას მიეწერება ის, რომ შარშანდელ „ბოლშევიკ“ მეგრელებს წელს ველარც

კი იცნობ. ეს დაამტკიცა *) „წითელ“ აღერბეიჯანთან ომმა, სადაც პირველი მსხვერპლი სენაკის სახელოვან გვარდიამ დაანთხია, ამას მიყვნენ მობილიზაციით გაწვეული ჯარის-კაცები, რომლებიც თავის დროზე უკლისად და ხალისით გამოცხადდნენ. სიტყვა „დეზერტირი“ სენაკის მაზრაში დავიწყებას მიეცა; ვისაც არ ეძახიან, ისიც კი მოდის, იქნებ დამივიწყეს, ან მეტრიკა დაიბნაო. ბევრი წინააღმდეგია ექიმის მიერ გასინჯვის: კარგათ ვარ, მხოლოდ „მჭადი მეკივა-ო“. მებრძოლთა ზურგის გამაგრება, მათი ნივთიერი დახმარება, მათი ყანების დამუშავებაც კარგად არის მოწყობილი. მაგრამ თითო მახინჯი ხომ არსად არ გამოწყდება და ეს სამშობლოს გამყიდველებიც ბრძოლის ველზე მყოფთ ზოგჯერ უსახელოს და ზოგჯერ საგანგებოთ „შეხანხლულ“ წერილებს უგზავნიან: მეზობლები ყურადღებას არ აქცევენ თქვენს ოჯახებსო.—მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მოვა დრო და ამ ვაჟბატონებსაც ფეხებსაც დაამტრევენ და „წითელ“ თავსაც.

ჩე—კე—ჩი.

# თემთა ცხოვრებიდან.

დიდი ვანის თემი.

II

ამ წერილში მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო დიდ-ვანის თემის ხალხის განათლების საქმეს უწინ დ[illegible]ლსა და ეხლანდელს.

ყვე[illegible]ს მოეხსენება თუ რა დიდი მნიშვნელო[illegible] [illegible] განათლებისა და მის ზნეობრივად [illegible] საქმეში ინტელიგენციის (ვგულისხმობ ხალხის გულშემატკივარ ინტელიგენციას, და არა ტყუილა ძოხეტიალეს, რომელსაც ხალხის ინტერესები არაფრათ მიაჩნია). ამ რამოდენიმე ათეული წლის წინეთ დიდი-ვანს (შემდეგ საქართველოს) მოევლინა მნათობელი ვარსკვლავი, ღირსეული წინამძღოლი, ყველასათვის ნაცნობი მოღვაწეობით პოლიტიკურ თუ სხვა სარბიელზე, ისიდორე ივანესძე რამიშვილი. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ მისი შრომის შედეგია, თუ დღეს დიდი-ვანი კულტურულ თემთა რიცხვში ითვლება. ვინ არ იცის ის ტანჯვა-წვალება, რომელიც ბ-ნმა ისიდორემ აიტანა ხალხის საკეთილ-დღეოთ. მან დაარსა აქ ერთ კლასიანი სასწავლებელი და საღამოს კურსები. დ[illegible] დი მძიმე იყო მისთვის ეს ტვირთი; ბევრი ლანძღვაგინება და მუქარა აიტანია მას გაუნათლებელ სოფლელისაგან, მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნებოდა? ცხოვრების წინმსვლელობამ და აუცილებლობამ შეაგნებინა ხალხს სწავლა—აღზრდის დიდი მნიშვნელობა და ერთ კლასიანი სკოლა გადაკეთდა ორ კლასიანად. ამის შემდეგ დიდი ვანის ხალხი ხალისით გზავნის პაწია შვილებს სკოლაში, მთელის რა მომავალ თაობას განათლებულს [illegible]ნეობრივად ამაღლებულს. სწავლა-აღზრდის მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა დღეს ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ასე არ [illegible] გაშა იმ ადამიანს, რომელმაც ბნელი ხალხისაგან ყოველივე შეურაცხყოფა მოთმინებით აიტანა და დღეს სტკბება თავისი ენერგიული შრომის ღირსეული ნაყოფით! ასეთია, თუ არ ვცდები, ხალხის მისწრაფება სწავლა-აღზრდაში. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: საზოგადოთ ამ უკანასკნელ ხანებში საზოგადოთ ძალიან გახშირდა ინტელიგენციის მიერ სოფლის მიტოვება; მიდიან სხვა და სხვა ლაბა—ქალაქებში და სოფელი უყურადღებოთ რჩება. ასეთ პირობებშია დღეს დიდი-ვანის თემიც. ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა კი არა, თითქმის მთელი ინტელიგენცია გაიხიზნა სოფლიდან. სოფელს არა ჰყავს იმდენი ძალა, ძველი თუ ახალი, რომ სოფლის საქმეს ჯეროვანად წინ წარუძღვეს. თუმცა არიან აქ ძველები უსწავლელნი, მხოლოთ საქმეში გამოცდილნი მომუშავენი, მაგრამ სულ ისინი ხომ არ იქნებიან და მათაც ოჯახური მდგომარეობა თუ მოხუცებულობა არ აძლევს საშუალებას ძველებურად იმუშაოს. რაც შეეხება ჩვეულებრივ ახალგაზრდობას, იმაში სანუგეშო არაფერია. მათ ნაკლებათ აინტერესებთ რაიმე საზოგადო საქმე. თითქმის კრებებზე სიარულიც ეჯავრებათ, თუმცა არიან მათ შორის საზოგადო საქმის ერთგულნიც, მაგრამ ასეთები შეიძლება გამონაკლისათ ჩაითვალოს. ასეთია, მოკლეთ, დიდი-ვანის ხალხის დღევანდელი კულტურული მდგომარეობა. რაც შეეხება მიზეზს ინტელიგენციის სოფლიდან გახიზვნისას, ამაზე მკითხველს მოვახსენებთ შემდეგ წერილში.

ადგილობრივი.

*) 26 მაისი; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და 1 მაისიც მთელმა სენაკის მაზრამ დიდებულად და შინაარსიანად იდღესასწაულა.

ჩ. გ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ გაზ. „გურიის ერობის მოამბის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოველთვიურ სამეცნიერო სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ „მომავალი-“ს სარედაქციო კოლეგიისა და საგამომცემლო კომიტეტის სახელით ოზურგეთის სცენის მოყვარეთ: ქ.ქ. ჰ. საბაშვილს, მ. სიხარულიძეს, აროშიძეს და ბ.ბ. ს. ხურციძეს, ყ. ქარცივაძეს, დ. ჰანტურიშვილს, ა. ლორენტს და გ. მახარაძეს, რომელთაც კეთილ ინებეს და სრულიად უსასყიდლოთ გამართეს ქ. ოზურგეთში, 13 ივნის, წარმოდგენა ზემოხსენებულ ჟურნალის ფონდის გასაძლიერებლად, რომლის ხალასი შემოსავალი 4228 მან გადაეცა დანიშნულისამებრ. აგრეთვე დიდ მადლობას უცხადებ ქ. ქ. შ. თოთიბაძეს და ქეთო მახარაძეს, რომელთაც ბილეთების გაყიდვით ხელი შეუწყვეს წარმოდგენის მიზან შეწონილად ჩატარებას.

ჟურნალ „მომავალი“-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე ან. შიუკაშვილი.

რედაქტორი—კოლეგია.

გამომცემელი—ოზურ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთი.